საქართველოს მთავრობის განკარგულება

№270 2016 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ყვარლის სატყეო უბნის ყვარლის სატყეოს კვარტალ №96-ის ლიტერ №7-ში, № 8-სა და №9-ში 49996 კვ. მ მიწის ფართობზე არასასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიზნით ტყითსარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 55-ე მუხლისა და მე-60 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ყვარლის სატყეო უბნის ყვარლის სატყეოს კვარტალ №96-ის ლიტერ № 7-ში, №8-სა და № 9-ში 49996 კვ.მ მიწის ფართობზე არასასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიზნით ტყითსარგებლობის ვადა განისაზღვროს 49 (ორმოცდაცხრა) წლამდე ვადით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი